

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია

2800 ქ. ლანჩხუთი, კოსტავას N37 ტელ: 591324141

N 15

10/01/2018

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ.ე“ პუნქტის შესაბამისად, წარმოგიდგენთ, მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა თანამდებობრივი სარგოებისა და აპარატის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრასთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტს და აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით განმარტებით ბარათს.

1. პროექტის მიღების მიზეზი, მიზანი და არსი

მოგახსენებთ, რომ ცვლილება ეხება „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცებას, რომელიც გულისხმობს აღნიშნული დადგენილების „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონთან შესაბამისობაში მოყვანას.

ავლნიშნავთ, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შრომის ანაზღაურების მუხლი განსაზღვრულია 503 000 ლარით. წარმოდგენილ დადგენილებაში თანამდებობის პირთა და აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების განსაზღვრის შედეგად ათვისებული იქნება 501 600 ლარი, ხოლო ნაშთი გვრჩება 1400 ლარი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის მიერ მომზადდა შესაბამისი ნორმატიული აქტის პროექტი. ვინაიდან ნორმატიული აქტის მისაღებად საკრებულომ უნდა დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება, კომისიის მიერ მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტიც.

2. პროექტის ავტორი და საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელი

პროექტი მომზადებულია საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის მიერ. საკრებულოს სხდომაზე მომხსენებლად წარმოგიდგენთ ამავ კომისიის თავმჯდომარის ვერიკო კვიციანიას კანდიდატურას. პროექტის მიღება მიზანშეწონილად მიგვაჩნია საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

3. პროექტის წარმდგენი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია.

ვერიკო კვიციანი

ვ. კვიციანი

კომისიის თავმჯდომარე

სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება №
2018 წლის იანვარი
ქ. ლანჩხუთი

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 106¹-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების შესაბამისად,

მუხლი 1. დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად.

მუხლი 2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი და ცნობა (თან ერთვის) ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ გამოქვეყნდეს საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 106²-ე მუხლით გათვალისწინებული წესის შესაბამისად;

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“ მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად;

მუხლი 4. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ბესიკ ტაბიძე

ცნობა

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი აღნიშნავს, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დაწყებულია ადმინისტრაციული წარმოება „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად.

დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრებები შეუძლიათ წარმოადგინონ 2018 წლის ----- იანვრამდე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში მისამართზე: ქ. ლანჩხუთი, კოსტავას ქ. N37, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის მე-2 სართული (პასუხისმგებელი პირი ნინო მიძიგური – საკრებულოს აპარატის უფროსი, ტელ: 0494 22-30-09).

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დადგენილება №
2018 წლის იანვარი
ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ე“ ქვეპუნქტის, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. დამტკიცდეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა თანამდებობრივი სარგოს ოდენობები დანართი N1-ის შესაბამისად.

მუხლი 2. დამტკიცდეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობები დანართი N2-ის შესაბამისად.

მუხლი 3. განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა დანართი N3-ის შესაბამისად.

მუხლი 4. ამ დადგენილების ამოქმედების დღიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის №6 დადგენილება (ვებგვერდი 03/02/2015, სარეგისტრაციო კოდი: 190040000.35.112.016207).

მუხლი 5. ამ დადგენილების ამოქმედების დღიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის №7 დადგენილება (ვებგვერდი 03/02/2015, სარეგისტრაციო კოდი: 190040000.35.112.016208).

მუხლი 6. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე:

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა თანამდებობრივი სარგოს ოდენობები

N	თანამდებობათა დასახელება	თანამდებობრივი სარგო (ლარში)
1	საკრებულოს თავმჯდომარე	2650
2	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	2000
3	საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე	1700
4	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	1700
5	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	1100

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა სამტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობები

თანამდებობათა დასახელება	რიცხოვნობა	თანამდებობრივი სარგო (ლარში)
პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი)	1	1600
მეორადი სტრუქტურული ერთეული (იურიდიულ საკითხთა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება)	3	
მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (იურიდიულ საკითხთა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი)	1	1100
მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი (იურიდიულ საკითხებში)	1	700
მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი (ადამიანური რესურსების მართვის საკითხებში)	1	700
მეორადი სტრუქტურული ერთეული საორგანიზაციო განყოფილება	4	
მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საორგანიზაციო განყოფილების უფროსი)	1	1100
მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში)	1	900
მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	900
მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	900
მეორადი სტრუქტურული ერთეული (სამდივნო)	8	
მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (სამდივნოს ხელმძღვანელი)	1	1000
მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი	2	700
მეოთხე რანგის მეორე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი	5	650

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა

N	პოზიციის დასახელება	რაოდენობა
1	საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე	1
2	სპეციალისტი კომპიუტერული მომსახურების დარგში	1
3	საკრებულოს თავმჯდომარის მდივანი	1
4	საკრებულოს თავმჯდომარის მძღოლი	1
5	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის მდივანი	1
6	დამლაგებელი	1